საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განკარგულება

01/02/2024 **N54**

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირავნობის პირობებისა და პარამეტრების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, „საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირაოს მართვის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2018 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2024 წლის 31 იანვრის №1 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში მისაღები სასესხო ფასიანი ქაღალდის ემიტენტის მინიმალურ საკრედიტო რეიტინგად განისაზღვროს Standard & Poors (S&P), Moody’s, Fitch და Scope Ratings საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული ბოლო საჯაროდ ხელმისაწვდომი საკრედიტო რეიტინგები შემდეგი პირობებით:
   ა) ერთი საკრედიტო რეიტინგის შემთხვევაში გამოიყენება თავად ეს რეიტინგი;
   ბ) 2 და/ან 3 საკრედიტო რეიტინგის შემთხვევაში გამოიყენება მეორე საუკეთესო რეიტინგი.

2. დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხის, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის, ერთდღიანი სესხის და მათზე დარიცხული პროცენტის და/ან დღის შიდა სესხის თანაფარდობა სესხის უზრუნველყოფაში მყოფ აქტივებთან შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

	საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მისაღები სესხის უზრუნველყოფის სახეობა	სასესხო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი		რეფინანსირების სესხის, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის. ერთდღიანი სესხის და მათზე დარიცხული პროცენტის, და/ან დღის შიდა სესხის თანაფარდობა სესხის უზრუნველყოფაში მყოფი აქტივების ნომინალურ ღირებულებასთან აქტივების ნარჩენი ვადიანობის (წელი) მიხედვით			კოდი საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშს წორების სისტემაში (GSSS)
		S&P, Fitch და Scope Ratings შკალა	Moody's შკალა	2 წლამდე	2 წლიდან 5 წლამდე	5 წელი და მეტი	
1	საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები	-	-	95%	95%	95%	A1
2	საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები	AAA, AA+, AA, AA-	Aaa, Aa1, Aa2, Aa3	95%	95%	95%	A1
		A+, A, A-, BBB+, BBB	A1, A2, A3, Baa1, Baa2	90%	90%	90%	A2
3	„ფასიანი ქაღლდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო განთავსების გზით რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები	AAA ≤ BBB-	AAA ≤ Baa3	90%	85%	80%	B1
		BB+ ≤ BB-	Ba1 ≤ Ba3	85%	80%	75%	B2
		B +	B1	80%	75%	70%	B3
4	კომერციული ბანკების სასესხო აქტივები	-	-	80%	80%	80%	C1
5	უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში	-	-	80%	80%	80%	D1

3. საქართველოს ეროვნულ ბანკში უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში, გირაოს მარჟის მოთხოვნის ამოქმედების ნიშნული განისაზღვროს +/- 10%-ის ოდენობით.

4. საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხების, ერთთვიანი ღია ბაზრის ინსტრუმენტის, ერთდღიანი სესხის და დღის შიდა სესხის უზრუნველყოფად მისაღები კომერციული ბანკების სასესხო აქტივების მაქსიმალური მოცულობა თითოეული ბანკისთვის განისაზღვროს არაუმეტეს დაგირავების წინა საბანკო დღის მდგომარეობით კომერციული ბანკის მფლობელობაში არსებული მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების (ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები) 35%-ისა.

5. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში მიღების მიზნით განსაზღვრულ ემიტენტებად საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში ჩაითვალოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები.

6. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო განთავსების გზით, რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში, არ მიიღება თითოეული კომერციული ბანკიდან ერთი ემიტენტის მიერ გამოშვებული ერთი საიდენტიფიკაციო ნომრის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდების 25%-ზე მეტი ოდენობა.

7. 2022 წლის 1 ივნისის შემდეგ გამოშვებული ცვალებადგანაკვეთიანი სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში მიიღება მხოლოდ TIBR ინდექსებზე მიბმული ცვალებადგანაკვეთიანი სასესხო ფასიანი ქაღალდი.

8. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში მისაღები ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთიანი სასესხო აქტივების დაგირავება განხორციელდეს შემდეგნაირად:
   ა) საქართველოს ეროვნული ბანკი აღარ დაიგირავებს კომერციული ბანკების მიერ 2023 წლის 1 ივლისის შემდეგ გაცემულ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე ინდექსირებულ სესხებს;
   ბ) 2026 წლის 1 იანვრიდან კომერციული ბანკების მიერ გაცემული ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთიანი სესხებიდან საქართველოს ეროვნული ბანკი დაიგირავებს მხოლოდ TIBR-ზე ინდექსირებულ სესხებს;
   გ) 2023 წლის 1 ივლისიდან 2026 წლის 1 იანვრამდე გარდამავალ პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკი ეტაპობრივად შეამცირებს კომერციული ბანკების მიერ 2023 წლის 1 ივლისამდე გაცემული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე ინდექსირებული სესხების დაგირავებას შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

№	სასესხო აქტივების დაგირავების პერიოდი	საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე ინდექსირებული სესხების წილი 2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაგირავებული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ფიზიკური პირების სასესხო აქტივების მოცულობასთან
I	2023 წელი, ივლისი - დეკემბერი	90%
II	2024 წელი, იანვარი - დეკემბერი	70%
III	2025 წელი, იანვარი - ივნისი	50%
IV	2025 წელი, ივლისი - დეკემბერი	25%
V	2026 წლის იანვრიდან	0%

9. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირავნობის პირობებისა და პარამეტრების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 22 დეკემბრის N64 განკარგულება.

10. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნათელა თურნავა